



სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა მეცნიერებათა ფაკულტეტი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების  
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დარგი, პროფესია: პედაგოგიკა, რეგულირებადი

სწავლის სფერო: განათლება (მასწავლებლის განათლება) ISCED-F –ის კოდი 011  
პროგრამის ხელმძღვანელი:

ნინო ნახუცრიშვილი \_ პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, განათლების მეცნიერებათა  
დეპარტამენტის პროფესორი

მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ  
ოქმი №8, 16 აპრილი 2018წ.

ფაკულტეტის დეკანი: / პროფ. დ.მახაშვილი/

რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურების მიერ  
ოქმი № 18, 17 აპრილი 2018 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი:  
/ასოც. პროფ. შ. ჭკადუა/

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № 18, 17 აპრილი 2018 წ.  
უნივერსიტეტის რექტორი / პროფ. ი. შიოშვილი/

ცვლილებები დამტკიცებულია: აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № 11, 17 მაისი 2023 წ.  
უნივერსიტეტის რექტორი /ასოც. პროფ. შ. ჭკადუა/

თელავი

განათლებისა მეცნიერებათა ფაკულტეტი  
განათლებისა მეცნიერებათა დეპარტამენტი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების  
ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**Bachelor's and Master's Integrated Program of Primary Education**

პროგრამის ანალოგ(ებ)ი:

ჩიკაგო, დეპაულის უნივერსიტეტი-<https://education.depaul.edu/academics/graduate/masters-programs/elementary-education-mamed/Pages/default.aspx>

ილინოისის უნივერსიტეტი <http://catalog.illinois.edu/graduate/graduate-majors/ed-curriculum-inst/elementary-education/>

Master of Education in Elementary Education with teaching licensure

კემბრიჯის უნივერსიტეტი, განათლების ფაკულტეტი-  
<http://www.educ.cam.ac.uk/courses/graduate/masters/themes/primaryed/>

მისამართები, სადაც შეიძლება იხილოთ საუკეთესო პროგრამები:  
<https://www.teachingdegrees.com/programs/primary-education>

<https://instituteofeducation.gov.sg/en/Pages/Courses/Qualifications%20Details/Master%20of%20Education%20-%20Primary.aspx>

დასავლეთ შოტლანდიის უნივერსიტეტი University of the West of Scotland

[https://www.uws.ac.uk/study/postgraduate/postgraduate-course-search/professional-graduate-diploma-education-pgde-](https://www.uws.ac.uk/study/postgraduate/postgraduate-course-search/professional-graduate-diploma-education-pgde-primary/?utm_source=findamasters&utm_campaign=courseid[33010]&utm_medium=courselisting&utm_content=textLink)

[primary/?utm\\_source=findamasters&utm\\_campaign=courseid\[33010\]&utm\\_medium=courselisting&utm\\_content=textLink](https://www.uws.ac.uk/study/postgraduate/postgraduate-course-search/professional-graduate-diploma-education-pgde-primary/?utm_source=findamasters&utm_campaign=courseid[33010]&utm_medium=courselisting&utm_content=textLink)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ნახუცრიშვილი \_პედაგოგის მეცნიერებათა კანდიდატი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი.

საკონტაქტო ინფორმაცია: email: [n.nakhutsrishvili@gmail.com](mailto:n.nakhutsrishvili@gmail.com)

T. +995 -599- 28 55 75

აკადემიური განათლების საფეხური: უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური  
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

სწავლებისენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი:

განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და დამატებით V-VI კლასის ორი საგნის (შემდეგი სამიდან არჩევით : ქართული/ მათემატიკა/ ბუნებისმეტყველება) სწავლების უფლებით - კოდი 03

Master of Education ( With the right of teaching Georgian / Mathematics/ Natural Studies of I-IV classes of primary level of Secondary education and two subjects of additional V-VI Classes ((შემდეგი სამიდან არჩევით : Georgian/ Mathematics /Natural Studies) - 03

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 300 ECTS კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად თანმიმდევრულია. ის მოიცავს თავისუფალი კომპონენტების მოდულს- 40კრედიტს და სპეციალობის კომპონენტებს, მათ შორის, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნების საგნობრივ და მეთოდურ მოდულებს, სულ 196 კრედიტს, სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდულს, სულ 64კრედიტს.

(იხ. დანართი : „სასწავლო გეგმა“ და შესაბამისი სილაბუსები.)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებითა და სსიპ იაკობ

გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს (ან საქართველოს კანონმდებლობით მასთან გათანაბრებულ პირს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტს აქვთ შესაძლებლობა არჩევით გამოცდად ჩააბაროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეული შემდეგი ორიდან ერთ-ერთი საგანი :

1. მათემატიკა

2. ისტორია

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელების და მასზე სწავლის მსურველთა დაშვების შესახებ გამჭვირვალე და საჯაროა, განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადება, რომლის კომპეტენციები შესაბამისობაშია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოთხოვნებთან. ამ მიზნით, სტუდენტთა აღჭურვა საჭირო ცოდნით, ინსტრუმენტებითა და კომპეტენციებით, რაც აუცილებელია 21-ე საუკუნის საკლასო ოთახში ეფექტური სწავლებისა და სწავლის მხარდაჭერი, ინკლუზიური გარემოს შექმნისათვის, რომელთა საფუძველზეც კურსდამთავრებული შემღებებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელებას. ამით პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრას როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ და პროფესიონალ მასწავლებელთა შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობას სამეცნიერო სფეროში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, თანხვედრაშია როგორც მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან, ისე ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, შეესაბამება მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნები შესაბამისობაშია მისი ფუნქციონირების მისიასთან და ორიენტირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრაზე:

1. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამის ეფექტიანი განხორციელება;

2. სწავლა სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

3. ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით შრომითი ბაზრისათვის დაწყებითი საფეხურის კონკურენტუნარიანი პედაგოგიური კადრის მომზადება სულ მცირე უფროსი მასწავლებლისთვის საჭირო კომპეტენციებით;

4. პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება, ინოვაციური, ქმედითი ღონისძიებების, აქტივობების, დაგეგმვა-განხორციელება, სადაც მნიშვნელოვნად იქნებიან ჩართულები საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და რაც უშუალოდ მიმართული იქნება თანამედროვე მოთხოვნებისა და სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტთა პროფესიულ მომზადებაზე.

ამოცანების შესასრულებლად დაგეგმილი გზები და საშუალებები:

ა) სტუდენტთათვის კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლება; სასკოლო პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის განხორციელება სათანადო მოთხოვნების დონეზე;

ბ) სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური, მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებების მქონე, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მომზადებას სულ მცირე უფროსი მასწავლებლის კომპეტენციებით;

გ) „სკოლა-უმაღლესი სასწავლებელი-სკოლა“ ამ უწყვეტ კავშირში ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელი რგოლის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს 21-ე საუკუნის სკოლის საჭიროებების შესაბამისად პროგრამის მუდმივ განახლება-განვითარებას, მის პოპულარიზაციას. ეს კი თავისთავად აისახება რეგიონის სკოლების კურსდამთავრებულთა მოზიდვით პროგრამაზე და პირიქით, სკოლების უზრუნველყოფით მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრით;

4. პედაგოგიური განათლების სფეროში ინოვაციების მოძიება-მოზიდვა, დანერგვა, სამეცნიერო კვლევითი გარემოს შექმნა და სტუდენტებისა და პერსონალისათვის სამეცნიერო (პრაქტიკული) კვლევების ხელშეწყობა.

#### სწავლის შედეგები:

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში თვითშეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული დარგობრივი კომპეტენციების დაუფლებას, კვლევითი უნარების განვითარებას პროფესიულ/კვლევით საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზების და კარიერული წინსვლის მიზნით.

პროგრამის დასრულების შემდეგ დაწყებითი განათლების მაგისტრი:

- ✓ გარკვეული იქნება განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებში,
- ✓ გაცნობიერებული ექნება პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკა და პროფესიული ღირებულებები;
- ✓ დაეუფლება სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგისათვის საჭირო ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.
- ✓ შეეძლება სასწავლო მიზნების შესაბამისად პოზიტიური, ინკლუზიური სასწავლო გარემოს ფორმირება, მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია (თვითშეფასება);
- ✓ გათვითცნობიერებული ექნება ესგ-ის ძირითადი მოთხოვნები და შეეძლება მისი რეალიზება, განხორციელება სასწავლო, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვისას;
- ✓ შეეძლება პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე თვითგანვითარებაზე ზრუნვა, პროფესიული საქმიანობის რეფლექსია, განვითარების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოება „პორტფოლიოს“ სახით და სხვ;

- ✓ გარკვეული იქნება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით და დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ერთობლიობებში, რომ დროულად დაეუფლოს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციას, ოპტიმალურად უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაგეგმვა-განხორციელება, განვითარება და სხვა.

კურსდამთავრებულს ექნება განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს დაწყებით საფეხურზე, 1-4 კლასებში, ეროვნული სასწავლო გეგმით (საათობრივი ბადით) განსაზღვრული საგანები: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და დამატებით, 5-6 კლასებში, აღნიშნულთაგან (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება), პირადი არჩევანით შერჩეული ორი საგანი.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს კომპეტენციებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

	სწავლის შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება	<p>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპებს და იცის როგორ შექმნას ყველა მოსწავლისათვის პოზიტიური, მამოტივირებელი და ინკლუზიური სასწავლო გარემო; აცნობიერებს უნივერსალური დიზაინის მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას.</li> <li>• აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ინკლუზიური განათლების პრინციპების და მისი განხორციელების უნივერსალური დიზაინის შესახებ;</li> <li>• აცნობიერებს თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასკოლო კულტურისა და გარემოს მნიშვნელობას პროფესიულ საქმიანობაში და იცის რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებს მას;</li> <li>• იცის კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები,</li> </ul> <p>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ესგ-ს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და ყველა იმ საჭირო მოთხოვნებს, რაც მას სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებაში დაეხმარება;</li> <li>• აქვს დაწყებითი განათლების პედაგოგისათვის საჭირო ღრმა და სისტემური ცოდნა პროგრამით განსაზღვრულ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება;</li> <li>• იცის განვითარების, სწავლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას;</li> <li>• იცის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სტრატეგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები სასწავლო</li> </ul>

	<p>პროცესში; მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის და აცნობიერებს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებს და მათი სწავლების მნიშვნელობას მაღალმოქალაქეობრივი, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებასა და აღზრდაში.</li> <li>• აცნობიერებს მოდიფიკაციების და მხარდამჭერი ინსტრუმენტების გამოყენების მნიშვნელობას სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებაში,</li> </ul> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს პროფესიული განვითარების აუცილებლობას, იცის მისი ძირითადი პრინციპები და განხორციელების გზები. აცნობიერებს პრაქტიკის კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და პროფესიული საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში;</li> <li>• აცნობიერებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის, ურთიერთშეფასებისა და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსიის (თვითშეფასების) მნიშვნელობას მუდმივ პროფესიულ განვითარებისთვის;</li> <li>• იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებს, კვლევის მეთოდებს განათლებაში და მათი გამოყენების შესაძლებლობებს;</li> </ul>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება</p>	<p><b>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ მოსწავლეთა ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით და თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის, შეუძლია ეფექტური, ორგანიზებული, სწავლის ხელშემწყობი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას ამ გარემოსთან, ინტეგრაციას ჯგუფთან და შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბებას;</li> <li>➤ შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან საქმიანი თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია უკონფლიქტო გარემოს უზრუნველყოფის, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზების და მათი მოგვარების მიზნით;</li> <li>➤ შეუძლია კლასის მართვა, მოსწავლეთა შორის ჯანსაღი, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშემწყობა მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით;</li> <li>➤ შეუძლია თანამშრომლობითი ურთიერთობების წარმართვა მშობლებთან მოსწავლეთა წარმატებული სწავლებისათვის.</li> </ul> <p><b>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ყველა</li> </ul>

	<p>კომპონენტისა ურთიერთკავშირების გათვალისწინებით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში;</li> <li>• შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით;</li> <li>• სასწავლო გეგმის მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლია დამხმარე სასწავლო რესურსების და ICT ტექნოლოგიების მოძიება, შექმნა, გამოყენება</li> <li>• შეუძლია სწავლისა და სწავლების მოტივაციის ამაღლების მრავალფეროვანი სტრატეგიების მიზნობრივი გამოყენება</li> <li>• შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების და საშუალებების ეფექტიანად გამოყენება თითოეული მოსწავლის მიღწევების ობიექტურად შესაფასებლად კოგნიტური და პიროვნული განვითარებისთვის;</li> <li>• შეუძლია რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება/განხორციელება; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</li> </ul> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, შეფასებისა და დასკვნების ჩამოყალიბების საფუძველზე პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და ახალი ცოდნის მოძიება;</li> <li>• თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრობლემის/საჭიროების იდენტიფიცირება, პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა, ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მათი ეფექტიანობის შეფასება.</li> <li>• შეუძლია საკუთარი სწავლის და პროფესიულ განვითარების დამოუკიდებლად წარმართვა.</li> </ul>
დასკვნის უნარი	<p><b>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, არსებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა, პროფესიული სიტუაციების შეფასება და დასკვნის გაკეთება;</li> <li>• დამოუკიდებლად შეუძლია კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ჩამოყალიბება, მისი გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება</li> </ul> <p><b>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შეუძლია მოსწავლეთა შეფასების შედეგების კრიტიკული ანალიზი და სასწავლო პროცესისა და მიღწევების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება;</li> </ul>

	<p>○ სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და გაანალიზება-შეფასების საფუძველზე შეუძლია ლოგიკური დასკვნების გამოტანა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა.</p> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <p>პრაქტიკული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეუძლია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან საკუთარი კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება;</p> <p>○ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, გაანალიზება, შეჯამება, პროფესიული საქმიანობისას მოძიებული ინფორმაციის გამოყენება;</p>
კომუნიკაციის უნარი	<p><b>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ შეუძლია საქმიანი და პოზიტიური, მასწავლებლის ეთიკის ნორმებზე დაფუძნებული ურთიერთანამშრომლობა მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან რათა ხელი შეუწყოს მათ აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში;</li> <li>▪ მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით;</li> <li>▪ აქვს კომუნიკაციის უნარი, მათ შორის უცხო ენაზე;</li> </ul> <p><b>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ აქვს სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი;</li> <li>▪ წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის მიზნობრივად და ეთიკის ნორმების დაცვით იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე ხერხებს და საშუალებებს.</li> </ul> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <p>ურთიერთთანამშრომლობითი სასკოლო კულტურის ხერხების გამოყენებით შეუძლია კოლეგიალური, ურთიერთპატივისცემაზე აგებული ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხების მიზანმიმართული გამოყენება პედაგოგიურ კვლევით საქმიანობაში.</p>
სწავლის უნარი	<p><b>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აცნობიერებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული და კონსტრუქტივისტული მიდგომების განხორციელების მნიშვნელობას და შესწევს ინკლუზიური სწავლისათვის სასწავლო გარემოს სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი;</li> <li>○ აცნობიერებს პოზიტიური თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.</li> </ul> <p><b>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აქვს მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის,</li> </ul>



	<p>რომელიც მოიცავს როგორც საგაკვეთილო, ისე არასაკვეთილო პროცესს (რემედიაცია, კლასგარეშე ღონისძიებები და სხვა) სტრატეგიული დაგეგმვა-განხორციელების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აცნობიერებს სწავლის პროცესის თავისებურებებს, მოსწვლეთა საჭიროებების დადგენის მნიშვნელობას და მათი გათვალისწინებით წარმართავს სწავლას;</li> <li>○ აქვს დამოუკიდებლად მუშაობის, დროის ორგანიზების და კოლეგებთან ურთიერთშეთანხმებულად სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა;</li> <li>○ აქვს სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი.</li> </ul> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ შეუძლია საკუთარი თუ კოლეგების პროფესიული საქმიანობის ანალიზისა და შეფასების, რეფლექსიის საფუძველზე პროფესიული საჭიროებების დადგენა და პროფესიულ თვითგანვითარებაზე სისტემატური ზრუნვა;</li> <li>❖ შეუძლია პროფესიული ცოდნის გაღმავება, ახალი ცოდნის შექმნა საჭიროებისამებრ და პროფესიული განვითარებისათვის საქმიანობის ამსახველი პორტფოლიოს შექმნა, საჭირო რესურსების მოძიება, შექმნა და პრაქტიკაში გამოყენება; აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში;</li> <li>❖ აცნობიერებს პედაგოგიური კვლევის მნიშვნელობას სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და პროფესიული განვითარებისთვის.</li> </ul>
ღირებულებები	<p><b>I პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✚ აცნობიერებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და პატივს სცემს მათ კულტურულ მრავალფეროვნებას; აცნობიერებს და იზიარებს დემოკრატიული განათლების ღირებულებებს;</li> <li>✚ აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობის, მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნისათვის;</li> <li>✚ აცნობიერებს მოსწავლეების, კოლეგების უფლებების პატივისცემის;</li> </ul> <p><b>II სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა</b></p> <p>აცნობიერებს ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტების და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის მნიშვნელობას და ღირებულებას მისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.</p> <p><b>III პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✚ აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას;</li> <li>✚ აცნობიერებს როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების მნიშვნელობას, ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.</li> <li>✚ აცნობიერებს მასწავლებლის პასუხისმგებლობებს და მასწავლებელთა მხარდაჭერის მნიშვნელობას;</li> </ul>

სწავლის შედეგების რუკა

#	სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი						
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი					პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის	კომუნიკაციის უნარი	სწავლის	
1	უცხო ენა (ინგლისური ენა (B1.1) (საშუალო საფეხური)	+	+	+	+	+		
2	უცხო ენა (ინგლისური ენა( B1.2) წინასაშუალო საფეხური)	+	+		+			
3	უცხო ენა (ინგლისური ენა, დარგობრივი)	+	+	+	+	+		
4	უცხო ენა (გერმანული ენა 1 (B1.1)	+	+	+	+	+	+	+
5	უცხო ენა (გერმანული ენა 2 ( B1.2) )	+	+	+	+	+	+	+
6	უცხო (გერმანული ენა- დარგობრივი	+	+	+	+	+	+	+
7	უცხო ენა (ინგლისური, დარგობრივი 2)	+	+		+			+
8	აკადემიური წერა	+	+	+	+	+	+	+
9	კვლევის მეთოდები განათლებაში	+	+	+	+	+	+	+
10	მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია	+	+		+	+	+	+
11	ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი ძირითადი კონცეფცია და განხორციელების მეთოდური ორიენტირები	+	+	+	+	+		+
12	განათლების პოლიტიკა	+	+	+	+	+	+	+
13	დემოკრატიული განათლების პრინციპები	+	+	+	+	+	+	+
14	ინკლუზიური სკოლამდელი განათლება	+	+	+	+	+	+	+
15	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწავლებაში	+	+	+	+	+	+	+
16	კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით	+	+	+				
17	საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი	+	+	+	+	+	+	
18	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+	
	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში	+		+		+	+	
16	ზოგადი ფსიქოლოგია	+	+		+	+		
17	განათლების ფსიქოლოგია	+	+	+	+	+	+	
18	განვითარების ფსიქოლოგია	+	+	+		+	+	
19	სოციალური ფსიქოლოგია	+	+	+	+	+		
20	სტრესის დაძლევის ფსიქოლოგიური მექანიზმები	+	+		+	+		
21	სამოქალაქო განათლება	+	+	+	+	+		

22	თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები	+	+	+	+	+	+	+	
23	სააღზრდელი პროცესის ორგანიზება	+	+	+	+	+	+		
24	ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით საფეხურზე	+	+	+	+		+	+	
25	კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში	+	+	+	+	±	±	±	
26	CISI „დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია“;	+	+						+
27	ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია	+	+						
28	ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია	+	+						+
	ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე.	+	+		+	+	+	+	
29	განვითარების და სწავლების თეორიები	+	+	+	+	+	+		
30	პედაგოგიური ეთიკა	+	+	+	+	+	+	+	
31	სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება	+	+	+	+	+	+	+	
32	კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა	+	+	+	+	+	+	+	
33	ინტერკულტურული განათლება	+	+		+	+	+		
34	ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა	+	+	+	+	+	+		
35	ინკლუზიური განათლება	+	+	+	+	+	+		
36	სსსმ მოსწავლეთა სწავლება	+	+	+	+	+	+	+	
37	წიგნიერება და აზროვნება	+	+	+	+	+	+		
38	მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები (მათემატიკური ცნებები და მიმართებანი )	+	+	+	+	+			
39	მთელი არაუარყოფითი რიცხვები, რაოდენობრივი თეორია	+	+	+		+		+	
40	სიდიდეები და რიცხვის ცნების გაფართოება	+	+	+		+		+	
41	გეომეტრიისა და სტატისტიკის ელემენტები 1	+	+	+		+		+	
42	ალგებრის ელემენტები და კანონზომიერებანი	+	+	+	+	+		+	

43	გეომეტრიისა და ალბათობა სტატისტიკის ელემენტები 2	+	+	+	+	+		+
44	ქართული ენა 1. (ფონეტიკა და მორფოლოგია)	+	+	+	+	+	+	+
45	ქართული ენა 2 (სინტაქსი და ლექსიკოლოგია)	+	+	+	+	+	+	+
46	მეტყველების კულტურის საკითხები	+	+		+	+		
47	ქართული საბავშვო ლიტერატურა	+	+	+	+	+	+	+
48	სტილისტიკა	+	+	+	+	+	+	+
49	ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები	+	+	+	+	+	+	+
50	ბუნებისმეტყველება 1 (I-IV კლ)	+	+	+				
51	ბუნებისმეტყველება 2 (I-IV კლ)	+	+	+	+	+	+	+
52	ბუნებისმეტყველება 3 (V-VI კლ)	+	+	+				
53	ბუნებისმეტყველება 4 (V-VI კლ)	+	+	+	+	+	+	+
54	ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 1	+	+	+	+	+	+	+
55	ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 2	+	+	+	+	+	+	+
56	კითხვისა და წერის სტრატეგიები დაწყებით კლასებში	+	+	+	+	+	+	+
57	ტექსტზე მუშაობის საკითხები V-VI კლასებში	+	+	+				+
58	ქართული ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI)	+	+	+	+	+	+	+
59	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების ზოგადი საკითხები	+	+	+	+	+	+	+
60	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა 1 (I-IV კლ)	+	+	+	+	+	+	+
61	მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე	+	+	+	+	+	+	+
62	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა 2 (V - VI კლ)	+	+	+	+	+	+	+
63	სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე	+	+					+
64	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში1 (I-IV კლ)	+	+	+	+			+
65	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში 2 I-IV კლ)	+	+	+	+	+	+	+
66	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში 3 (V-VI	+	+	+	+			+

	კლ)							
67	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდთა დაწესებით კლასებში 4 (V-VI კლ)	+	+	+	+	+	+	+
68	პრაქტიკის კვლევა	+	+	+	+	+	+	+
69	სასკოლო პრაქტიკა 1 (1-2 კლ)	+	+	+	+	+	+	+
70	სასკოლო პრაქტიკა 2 (3-4 კლ)	+	+	+	+	+	+	+
71	სასკოლო პრაქტიკა 3 (5-6 კლ)	+	+	+	+	+	+	+
72	პრაქტიკის კვლევა -სამაგისტრო ნაშრომი	+	+	+	+	+	+	+

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების, აქტივობების, შეფასების სხვადასხვა ფორმების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, სტუდენტთათვის სასურველი კომპეტენციების დასაუფლებლად სასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქტივს, ჩართულობას, სტუდენტთა აქტივობას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა, აქტივობათა შერწყმას. რაც სწავლების პროცესში ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭიროს კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პროფესორი: ვერბალური თუ წერითი მეთოდები, წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიში ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევების შესწავლა, ევრისტიკული მეთოდი, სწავლების ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზი და სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სწავლების ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მეთოდები და სხვ. არანაკლებ შედეგიანია კონსულტაციები ლექტორთა მხრიდან. ერთობ ღირებულია ე.წ. ჩაშენებული პრაქტიკა, სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა, რომელიც სრულდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით.

სასკოლო პრაქტიკა ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას. იგი აწვდის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, სხვადასხვა მეთოდების, აქტივობების გამოყენებას შესწავლილი საგნის პრობლემების გადასაჭრელად, გარდა აღნიშნულისა, სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ზოგიერთ სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ე.წ. „ჩაშენებული პრაქტიკები“ რაც ერთგვარ მოსამზადებელ ფონს და საფუძველს ქმნის სტუდენტთათვის სასკოლო პრაქტიკის სათანადოდ წარმართისათვის.

პრაქტიკის კვლევა - ითვალისწინებს სტუდენტის მიერ სასკოლო პრაქტიკის განმავლობაში სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, კვლევას და ინტერვენციების განსაზღვრას. პრაქტიკის კვლევა თავისთავად მოიცავს დაგეგმვას და დიზაინის შექმნას: მისი ეტაპების განსაზღვრას, სამოქმედო კვლევების ჩატარებას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზსა და გაზიარებას. პრაქტიკის კვლევის სათანადო წარმოდგენა და გაზიარება ფორმდება სამაგისტრო ნაშრომის სახით.

საკვლევი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე მუშაობს სტუდენტი და საკითხით დაინტერესებული პირი(ები) სკოლიდან, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელება. პრაქტიკის კვლევის თემატიკასა და შედეგებზე აიგება შემდგომ სამაგისტრო ნაშრომი, ამიტომ, პრაქტიკის კვლევას გარკვეულ თეორიულ კოორდინირებას უწევს პროფესორი, როგორც სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ცალკეული საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და პრაქტიკის კვლევის ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკის კვლევის დიზაინის დაუფლების დონე და სტუდენტის მზაობა მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

დასაქმების ხვედრო: მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება რა დაწყებითი განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია საგნების სწავლების უფლების მითითებით, ეძლევა უფლება, რომ იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის ქართულის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების და V-VI კლასის იმ ორი საგნის მასწავლებლად, რისი სწავლების უფლებაც ექნება მას. ასევე, არაფორმალურ განათლებაში, სადაც ესაჭიროებათ კადრი დაწყებითი განათლების მაგისტრის დარგობრივი თუ ზოგადტრანსფერული კომპეტენციებით.

#### მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის განხორციელებისათვის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში/განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები: ბუნებისმცოდნეობის, უცხო ენების კაბინეტები, კომპიუტერული კლასი; ასევე, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი და წიგნადი ფონდით და ელექტრონული ბაზებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ წვდომა საერთაშორისო ბაზებთან.

ინტეგრირებული ელექტრონული კატალოგი (EVERGREEN) და ჩართულია 2010 წლიდან და ბაზები კონსორციუმიდან:

Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)

BioOne Complete (<http://www.bioone.org/>)

e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)

Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)

Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>)

Elsevier – მონაცემთა ბაზები (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი):

1.ScienceDirect®online (სტუდენტებისა და პროფესორებისთვის)

2.Scopus® online (უფრო სტუდენტებისთვის)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის რელევანტური, ობიექტური და გამჭვირვალეა.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების სისტემა რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის

შეფასების სისტემის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებისა (#3, 05.07. 2007 წ) და (სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების მიხედვით, (დამტკიცებული ცვლილებებით ოქმი # 2, 04.02.2022) ( რომლის თანახმადაც სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება ხორციელდება 2 აუცილებელი ფორმით, შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის, საფუძველზე: სემესტრული შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამით. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ ერთი კომპონენტის გამოყენებით. ამასთანავე, კრედიტის მისანიჭებლად სტუდენტი ვალდებულია შეფასების თითოეულ კომპონენტში გადალახოს ქულათა მინიმალური ზღვარი, რაც თითოეული სასწავლო კურსისთვის მითითებულია შესაბამის სილაბუსში .

შუალედური შეფასება შედგება ცალკეული კომპონენტებისაგან: შუალედური წერითი გამოცდა და ზეპირი/წერითი გამოკითხვა. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები (საშუალებები): დემონსტრირება, პრეზენტაცია. ტესტი, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. დანარჩენი კომპონენტების, მეთოდების და შესაბამისი ქულების შესახებ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაწვრილებითი ინფორმაცია მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

ფინალურ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას გადალახული აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტი გადალახავს დადგენილი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, (შესაბამისად შეფასების ფორმის არაუმეტეს 60 % ისა). სტუდენტის ცოდნის შეფასება გამოითვლება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულათა ჯამით. დადებით შეფასებად მიღებულია 51-100 ქულა. ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, დადებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კრედიტი. საგამოცდო პროცესს წარმართავს თესაუს ერთიანი საგამოცდო ცენტრი.

პროგრამის ფარგლებში რაოდენობრივ შეფასებასთან ერთად დაგეგმილია ლექტორთა მიერ სტუდენტების განმავითარებელი შეფასება (პედაგოგის, სტუდენტთა ურთიერთ და თვითშეფასებები), რომელიც პირდაპირი (მაგრამ არა ერთადერთი) სტრატეგიული ინსტრუმენტია სტუდენტებისათვის ზოგადი(ტრანსფერული) უნარების განსავითარებლად.

შეფასების სისტემა უშვებს:

1) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები: პროგრამა ხორციელდება ხუთი სასწავლო წლის მანძილზე, ათი ცხრამეტკვირიანი სემესტრის განმავლობაში. მათგან, ყოველ სემესტრში მერვე კვირა განკუთვნილია შუალედური წერისთვის, ხოლო მეთხუთმეტე კვირა- პრეზენტაციისთვის, მე-16 და მე-17 კვირები განკუთვნილია დასკვნითი გამოცდისთვის, ხოლო მე-18 და მე-19 კვირები- დამატებითი გამოცდებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც სასწავლო კომპონენტს, ისე კვლევით კომპონენტს, რაც აისახება პრაქტიკის კვლევაში და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება-დაცვაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობის და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, მათი რეკომენდაციებით და/ან რესურსების გამოყენებით მომზადდა, რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც შეტანილ იქნა პროგრამაში როგორც საწყის ეტაპზე, ისე მოდიფიცირების პროცესში და ემსახურება მასწავლებლის სპეციალობისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებასა და განვითარებას, ეს სასწავლო კურსებია:

1. ინკლუზიური განათლება
2. ინკლუზიური სკოლამდელი განათლება (ნახევრად ელექტრონული ფორმატით)
3. მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე
4. დემოკრატიული განათლების პრინციპები
5. კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით
6. სტრესის ფსიქოლოგიური პრობლემები და გადაწყვეტის გზები
7. ინტერკულტურული განათლება
8. მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია
9. ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი ძირითადი კონცეფცია და განხორციელების მეთოდური ორიენტირები
10. უცხო ენა (ინგლისური, დარგობრივი 2)
11. სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე.
12. „დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია; -
13. ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია
14. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია
15. ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე.

ასევე, ცალკეულ სასწავლო კურსებში მოხდა რიგი საკითხების ინტეგრირებაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე სწავლა-სწავლებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და შესაბამისად, პედაგოგიური კადრის მომზადებისთვის.



სტუდენტთა სასწავლო დატვირთვისას უპირველესად გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დრო და ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს. კრედიტების დაახლოებით მესამედი გათვლილია სააუდიტორიო შეხვედრებისთვის, ხოლო დანარჩენი, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, 1 კრედიტი უტოლდება 25 სთ-ს. სასკოლო პრაქტიკაზე სტუდენტის მიერ გატარებული საკონტაქტო საათებისთვის გამოყოფილია სასკოლო პრაქტიკის კრედიტის შესაბამისი საერთო საათების რაოდენობის არანაკლებ 1/3-ისა. პრაქტიკის დეტალური გეგმა: იხილეთ შესაბამისი სილაბუსები. პროგრამის სტრუქტურა ემყარება კომბინირებულ ვარიანტს: მოდულები და ცალკეული კურსები, მათი კრედიტები, გადანაწილება სემესტრების მიხედვით და თითოეულის სტატუსი ნათლად არის მითითებული.

პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობის სპეციფიკა. მასწავლებლის მომზადების, ასევე, ცალკეული საგნების შესაბამისი კურსების შემდეგ შეისწავლება საგანთა სწავლების მეთოდები და მხოლოდ ამის შემდგომ ხორციელდება სასკოლო პრაქტიკა. პროგრამაში ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს მყარი და საფუძვლიანი განათლების მიღებას სტუდენტთა პროფესიული მომზადებისათვის საჭირო დისციპლინებში.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ისწავლის სსსმ პირი, მათთვის გათვალისწინებული იქნება პროგრამის ორგანიზების ცალკეული პუნქტების განხორციელების შემდეგი ფორმები:

შუალედურ წერაზე და გამოცდაზე აკომოდაციის ფორმები:

- გამოცდის გაზრდილი დრო (25% - 50%)
- კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ესეებისა და ტესტების შესასრულებლად
- პასუხების კარნახი გარე დამხმარესთვის
- გამოცდის დისტრაქტორებისგან თავისუფალ გარემოში ჩატარება
- „სპელინგის“ შეცდომების იგნორირება
- ხანმოკლე შესვენებები გამოცდის მანძილზე
- საგამოცდო ფურცელის ფორმატის (შრიფტი, ზომა) ცვლილება
- კითხვების ხმამაღლა წაკითხვა
- კალკულატორის გამოყენება

სწავლების პროცესში დახმარების ფორმები:

- კონსულტაცია სწავლების პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით
- ფიზიკური მისაწვდომობის უზრუნველყოფა
- სპეციალიზირებული ვორკშოპები: ა) აკადემიური წერა; ბ) დროის მართვა.
- სწავლების ინდივიდუალური განრიგი

თავისუფალი კომპონენტების მოდული (40 კრ) მოიცავს გადრმავებულ სპეციალიზირებულ სასწავლო კურსებს და კურსებს, რომელთა სწავლებაც ორიენტირებულია მასწავლებლის სპეციალობისთვის საჭირო ზოგადტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაზე

სასწავლო კურსები არის როგორც სავალდებულო (35 კრ), ისე არჩევითი (5 კრ), რომელსაც სტუდენტი ირჩევს იმ საუნივერსიტეტო და პროგრამით შეთავაზებული სპეციალიზებული სასწავლო კურსებიდან, რომლებიც შერჩეულია სპეციალურად მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და/ან ორიენტირებული უშუალოდ მასწავლებლის მომზადებისთვის საჭირო ცოდნის გადრმავებასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

სპეციალობის კომპონენტიდან საგნობრივ და მეთოდურ მოდულს დათმობილი აქვს სულ 196 კრ. მათგან მასწავლებლის მომზადების პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და სპეციალურ სხვა

სასწავლო კურსებს ეთმობა სულ 66 კრ, მათ შორის 60 კრ სავალდებულო, ხოლო 6 კრ არჩევითი, საგნობრივ მოდულს ეთმობა სულ 70 კრ, მათ შორის 50 კრ სავალდებულო, ხოლო 20 არჩევითი, ხოლო მეთოდურ მოდულს ეთმობა სულ 60 კრ, მათგან 40 კრ სავალდებულო, ხოლო 20 არჩევითი I-VI სემესტრებში შეისწავლება ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების მოდულების ძირითადი სავალდებულო კურსები (50კრ) და აღნიშნული საგნების სწავლების მეთოდიკები (10/15 კრ), რაც შესაბამისობაშია დაწყებითი საფეხურის (1-4 კლ) მასწავლებლის სტანდარტთან უფროსი მასწავლებლის კომპეტენციების გათვალისწინებით ასევე, 1-4 კლასების საგნობრივ სტანდარტებთან.

VI სემესტრიდან სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა შეისწავლოს არჩეული სასწავლო კურსები სულ 20 კრედიტის ფარგლებში (სასწავლო კურსებიდან: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) და შესაბამისი საგნების სწავლების მეთოდიკები სულ 20 კრედიტის ფარგლებში. არჩევანს სტუდენტი აკეთებს მეხუთე სემესტრში. აღნიშნული არჩევანის საფუძველზე კურსდამთავრებულს ეძლევა უფლება, რომ ასწავლოს 5-6 კლასებში დაწყებით საფეხურზე ესგ-თი განსაზღვრული ორი საგანი ჩამოთვლილთაგან: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; ბუნებისმეტყველება .

	I-IV კლასები:	კრედიტები	სტატუსი	V-VI კლასები:	კრედიტები	სტატუსი
საგნობრივი მოდულები	ქართული ენა და ლიტერატურა	20	სავალდ	ქართული ენა და ლიტერატურა	10	არჩევითი
	მათემატიკა	20	სავალდ	მათემატიკა	10	არჩევითი
	ბუნებისმეტყველება	10	სავალდ	ბუნებისმეტყველება	10	არჩევითი
სულ		50		სულ 20 კრ. (ირჩევს ორ სასწ კურსს)		
საგანთა სწავლების მეთოდიკები	ქართული ენის, /ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	ქართულის ენის სწავლების მეთოდიკა	10	არჩევითი
	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	15	სავალდ	მათემატიკის სწავლების მეთოდიკა	10	არჩევითი
	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა	10	სავალდ	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა	10	არჩევითი
სულ		40		სულ 20კრ (უკვე არჩეული სასწ კურსების შესაბამისი მეთოდიკები)		

რიგი სასწავლო კურსების სწავლებისათვის გარდა სააუდიტორიო ფორმისა, გათვალისწინებულია ჩამოთვლილი პრაქტიკის გავლა. ის გარკვეულ „მოსამზადებელ“ ეტაპს წარმოადგენს სტუდენტთათვის სკოლაში საქმიანობისა და პროფესიული კომპეტენციების დასაუფლებლად. ითვალისწინებს გარკვეული დავალებების შესრულებას სკოლის ბაზაზე ხანმოკლე ვიზიტისას, უშუალო კონტაქტს საგაკვეთილო პროცესთან სასკოლო გარემოში.

ჩაშენებული პრაქტიკა ცხადია ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ცოდნის პრაქტიკულ რეალიზების უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების დაუფლებას, სასკოლო სიტუაციების უკეთ შესწავლას, გამოკვლევას და მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე საკუთარი აქტივობების უკეთ დაგეგმვა-განხორციელებას. ყოველი ასეთი დავალება ფასდება გარკვეული ქულებით, რაც ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსში.

ეს სასწავლო კურსებია:

1. მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების ზოგადი საკითხები;
2. ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 1 ;
3. ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 2;
4. კითხვისა და წერის სტრატეგიები დაწყებით კლასებში ;
5. ქართული ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI);
6. ინკლუზიური განათლება;
7. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება;
8. კვლევის მეთოდები განათლებაში;

სასკოლო პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა:

მოდულს დათმობილი აქვს 64 კრ. მათგან 4 კრ ეთმობა სასწავლო კურსს „პრაქტიკისკვლევა“, ხოლო უმუშაოდ სასკოლო პრაქტიკას, რომელიც ხორციელდება სამი სემესტრის განმავლობაში, 30 კრედიტი. პირველ ეტაპზე ის ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში 1-2 კლასებში, შემდეგი სემესტრი-10 კრედიტის გავლა 3-4 კლასებში , ხოლო ბოლო, 10 კრედიტი, ეთმობა სასკოლო პრაქტიკას 5-6 კლასებში სტუდენტის მიერ არჩეულ ორ საგანში. სასკოლო პრაქტიკის ყოველ ეტაპზე, სამივე პრაქტიკის პერიოდში, სტუდენტს ევალება შეარჩიოს მისთვის საინტერესო პრობლემატური 1-3 საკითხი შემდგომი კვლევისთვის, რომელსაც ასახავს პორტფოლიოში. სამივე პრაქტიკის დასრულების შემდეგ შერჩეული (მინიმუმ 3 საკითხიდან) სტუდენტი სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით არჩეული საკითხებიდან და/ ან მათი ინტეგრირებით შეარჩევს ერთს, რომელზედაც იწყებს პრაქტიკის კვლევას მეცხრე-მეათე სემესტრში. კვლევის პარალელურად სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე, სადაც ასახავს კვლევის შედეგებს და აფორმებს სამაგისტრო ნაშრომის სახით, კომისიის წინაშე. აკადემიური პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რის შედეგადაც კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც მას აძლევს მასწავლებლობის უფლებას დაწყებით საფეხურზე. (აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხილეთ შესაბამისი სილაბუსში).

კვლევის ჩატარებამდე კი შეისწავლება ისეთი სასაწვლო კურსები, რითაც სტუდენტი იძენს კვლევისთვის საჭირო ცოდნასა და კომპეტენციებს, როგორცაა, კვლევის მეთოდები განათლებაში, პრაქტიკის კვლევა და სხვ. რაც თეორიულ ბაზისს ქმნის შემდგომ ეტაპზე პრაქტიკის კვლევის განსახორციელებლად.

აკადემიური პროგრამის ყველა კომპონენტის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს რა საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვით, რის შედეგადაც კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც მას აძლევს მასწავლებლობის უფლებას დაწყებით საფეხურზე.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში არის შესაბამისი ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის მქონე და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი:

№	ლექტორის გვარი, სახელი	კვალიფიკაცია	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსების დასახელება
1	დავით მახაშვილი	პედაგოგიკის დოქტორი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლების პოლიტიკა
				სააღზრდელი პროცესის ორგანიზება
2	ნინო მოდებაძე	პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განვითარების და სწავლების თეორიები
				თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები
				სასკოლო პრაქტიკა 2 ( 1-2 კლ)
				სასკოლო პრაქტიკა 3 ( 3-4 კლ)
				სასკოლო პრაქტიკა 4 ( 5-6 კლ)
				პრაქტიკის კვლევა -სამაგისტრო ნაშრომი
				სასკოლო პრაქტიკა (ზოგადი )
				ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი ძირითადი კონცეფცია და განხორციელების მეთოდური ორიენტირები
ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდოლოგია				
3	სალომე თათულიშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული დოქტორი	კვლევის მეთოდები განათლებაში
				წიგნიერება და აზროვნება
4	ნინო ნახუცრიშვილი	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი,	პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები (მათემატიკური ცნებები და მიმართებანი
				მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების ზოგადი საკითხები
				მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია 1 (I-IV კლ)
				მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე
				მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდოლოგია 2 (V - VI კლ)
				სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე
				CISI „დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია“.
ნინო ნახუცრიშვილი			დემოკრატიული განათლების პრინციპები	
5	ნინო გიგილაშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული დოქტორი	პედაგოგიური ეთიკა
6	ნინო ვაყელიშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული დოქტორი	მთელი არაუარყოფითი რიცხვები, რაოდენობრივი თეორია

				სიდიდეები და რიცხვის ცნების გაფართოება
				გეომეტრიისა და სტატისტიკის ელემენტები 1
				ალგებრის ელემენტები და კანონზომიერებანი
7	ალექსანდრე თანდილაშვილი	მოწვეული პედაგოგი	მოწვეული მასწავლებელი	გეომეტრიისა და ალბათობა სტატისტიკის ელემენტები 2
8	სოფიო არსენიშვილი	ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი	მოწვეული დოქტორი	აკადემიური წერა ინტერკულტურული განათლება
9	მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი მათემატიკა-ინფორმატიკისა და ფიზიკის დეპარტამენტი ინფორმატიკის მიმართულებით	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწავლებაში კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში
10	ალექსანდრე მოსიაშვილი	ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი	ასოცირებული პროფესორი	საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი
11	ნინო ბასილაშვილი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ზოგადი ფსიქოლოგია განვითარების ფსიქოლოგია სტრესის დამლევის ფსიქოლოგიური მექანიზმები
12	ია ჩაქიაშვილი - კალმახელიძე	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	განათლების ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგია
13	შორენა ძამუკაშვილი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი	ინკლუზიური სკოლამდელი განათლება ინკლუზიური განათლება სსსმ მოსწავლეთა სწავლება სასკოლო პრაქტიკა 2 ( 1-2 კლ) სასკოლო პრაქტიკა 3 ( 3-4 კლ) სასკოლო პრაქტიკა 4 ( 5-6 კლ) სასკოლო პრაქტიკა ზოგადი სილაბუსი კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია

14	თამარ ნადირაძე	ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბავშვის ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა
15	მაკა სიდამონიძე	დოქტორანტი	ასისტენტი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტი,	ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 1 (ჩაშენებული პედ.პრაქტიკით)
				ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში 2 (ჩაშენებული პედ.პრაქტიკით)
				ტექსტზე მუშაობის საკითხები V-VI კლასებში
				წერისა და კითხვის სტრატეგიები დაწყებით კლასებში
				ქართული ლიტერატურის სწ-ის დიდაქტიკა დაწყებით კლასებში (V-VI)
16	მევლუდი მაისურაძე		მოწვეული მასწავლებელი	სამოქალაქო განათლება კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით
17	მზია გიგაშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასისტენტი პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ქართული ენა (ფონეტიკა და მორფოლოგია)
				ქართული ენა (სინტაქსი- ლექსიკოლოგია)
				მეტყველების კულტურის საკითხები
18	ნუნუ გელდიაშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	სტილისტიკა
19	ელენე ფილაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	
20	ნინო გიორგაძე	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი	ასოცირებული პროფესორი ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები
21	ნინო კოჭლოშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;	პროფესორი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი	ქართული საბავშვო ლიტერატურა
22	ნანა ბერძენიშვილი	დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბუნებისმეტყველება 1 (I-IV კლ)
23	ნათელა ბაღათრიშვილი	განათლების დოქტორი	მოწვეული დოქტორი	ბუნებისმეტყველება 3 ( V-VI კლ)
				ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში 1 (I-IV კლ)
				ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდიკა დაწყებით კლასებში 3 ( V-VI კლ)
				ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით

				საფეხურზე ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე. პრაქტიკის კვლევა
24	ნინო ჟონჟოლაძე	ფიზიკის დოქტორი	ასისტენტ პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დეპარტამენტი	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდთა დაწყებით კლასებში 2 (I-IV კლ) ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდთა დაწყებით კლასებში 4 ( V-VI კლ) ბუნებისმეტყველება 2 (I-IV კლ) ბუნებისმეტყველება 4 ( V-VI კლ)
25	ლელა საფარიშვილი		მოწვეული პედაგოგი	უცხო (გერმანული) ენა - 1 (B1.1) უცხო (გერმანული) ენა - 2 ( B1.2) უცხო (გერმანული) ენა დარგობრივი
26	თამარ მიქელაძე	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	უცხო (ინგლისური) ენა (დარგობრივი) მასწავლებლის პორტფოლიო და რეფლექსია ბუნებისმეტყველებისა და ქართულის, როგორც მეორე ენის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით საფეხურზე.
27	ნათია გაბაშვილი	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	უცხო ენა (ინგლისური,) 1-B1.1 უცხო ენა (ინგლისური,) 2-B1.2 უცხო ენა (ინგლისური, დარგობრივი ) 2
28	ანა გიგაური	განათლების დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	
29	ირმა შიომშვილი	ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი	პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტი	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში

გარდა აღნიშნული რესურსისა, გამოყენებულია სხვა რესურსებიც: პროგრამის პრაქტიკის კომპონენტების განსახორციელებლად უზრუნველყოფილია კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, მემორანდუმი, სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან პარტნიორობა, რაც ამავე დროს ემსახურება პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროგრამის დახვეწას.

პროგრამას თან ახლავს:

1. სასწავლო გეგმა
2. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)











		30	ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია			არ აქვს						6		15			10	10	2	2	2	106	150	
		31	განვითარების და სწავლების თეორიები	სავ	EDS2PLT DTT	არ აქვს	5		5						13			26		1	2	3	80	125
		32	პედაგოგიურიეთიკა	სავ	EDS2PLT PE	არ აქვს	5	5							13	13		13		2	2	2	80	125
		33	სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება	სავ	EDS2PLT PLAEP	არ აქვს	5		5						13	8		8	10	2	2	2	80	125
		34	კლასის მართვა და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობა	სავ	EDS2PLT CMLEP	EDS2PLTPE	5		5						13	13		13		2	2	2	80	125
		35	ინტერკულტურული განათლება	სავ	EDS2PLT IE	არ აქვს	5				5				26	13				2	2	2	80	125
		36	ბავშვისსანატომია, ფიზიოლოგია , ჰიგიენა	სავ	EDS2PLT CAFSH	არ აქვს	5	5							26			13		2	2	3	79	125
		37	ინკლუზიური განათლება	სავ	EDS2PLT FIE	EDS2PLTPLAE P; EDS2PLTGF	5			5					13	8		8	10	2	2	2	80	125
		38	სსმ მოსწავლეთა სწავლება	სავ	EDS2PLT TFSEN	EDS2PLTFIE	5				5				13	13		13		2	2	2	80	125
		39	წიგნიერება და აზროვნება	სავ	EDS2PLT LM	არ აქვს	5			5					13	20		6		3	2	2	79	125
სპეციალობის საგნები/საგნობრივი ჯგუფები 70 კრ	მათემატიკის მოდული	40	მათემატიკის დაწყებითი კურსის მეცნიერული საფუძვლები (მათემატიკური ცნებები და მიმართებანი)	სავ	EDS2PLT SPCM	არ აქვს	5		5					13	21		5		2	2	3	79	125	
		41	მთელიარაუარყოფითირიცხვები , რაოდენობრივი თეორია	სავ	EDS2PLT FNQ	EDS2PLTSPC M	5		5					13	22		4		2	2	3	79	125	
		42	სიდიდეები და რიცხვის ცნების გაფართოება	სავ	EDS2PLT QENC	EDS2PLTFN Q	5			5					13	22		4		2	2	3	79	125
		43	გეომეტრიისა და სტატისტიკისელებმენტები 1	სავ	EDS2PLT EAG	EDS2PLTQE NC	5			5					13	21		5		2	2	3	79	125
		44	ალგებრის ელემენტები და კანონზომიერებანი	არა	EDS2PLT SEGP	EDS2PLTQE NC	5					5			13	22		4		2	2	3	79	125
	45	გეომეტრიისა და ალბათობა სტატისტიკის ელემენტები 2	არა	EDS2PLT EGS	EDS2PLTEA G	5					5			13	22		4		2	2	3	79	125	
	ქართულენადალიტერატურის მოდული	46	ქართული ენა 1 (ფონეტიკა და მორფოლოგია )	სავ	EDS2PLT GLPM	არ აქვს	5		5						26	13				2	2	2	86	125
		47	ქართული ენა 2 (სინტაქსი და ლექსიკოლოგია)	სავ	EDS2PLT GLSL	EDS2PLTGLP M	5		5						26	13				2	2	2	86	125
		48	მეტყველებისკულტურისსაკითხები	სავ	EDS2PLT ICC	EDS2PLTGLP M;	5			5					26	13				2	2	2	86	125
49		ქართული საბავშვო ლიტერატურა	სავ	EDS2PLT IHGL	არ აქვს	5			5					13	13		13		2	2	2	80	125	

ბუნებისმეტყველების მიდული	50	სტილისტიკა	არჩ	EDS2PLT S		5				5			13	26				2	2	3	79	125	
	51	ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები	არჩ	EDS2PLT NL	არ აქვს	5				5			13	26				2	2	2	80	125	
	52	ბუნებისმეტყველება 1 (I-IV კლ)	სავ	EDS2PLT NS1	არ აქვს	5		5					13	4		22		2	2	2	80	125	
	53	ბუნებისმეტყველება 2(I-IV კლ)	სავ	EDS2PLT NS2	EDS2PLTNS1	5		5					13	11	8	7		1	2	2	81	125	
	54	ბუნებისმეტყველება 3 ( V-VI კლ)	არჩ	EDS2PLT NS3	EDS2PLTNS1	5					5		13	6		20		2	2	2	80	125	
	55	ბუნებისმეტყველება 4 ( V-VI კლ)	არჩ	EDS2PLT NS4	EDS2PLTNS2	5					5		13	11	7	8		1	2	2	81	125	
საგანთასწავლებლის მეთოდები	ქართული ენის ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა	56	ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში1	სავ	EDS2PLT DTGLEG 1	EDS2PLTGLS L	5			5			13	13		2	25	2	2	2	68	125	
		57	ქართული ენის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში2	სავ	EDS2PLT DTGLEG 2	EDS2PLTDT GLEG1	5				5		13	13		2	25	2	2	2	68	125	
		58	კითხვისა და წერის სტრატეგიები დაწყებით კლასებში	სავ	EDS2PLT WRSEG	EDS2PLTPLA EP	5					5		13	10		8	8	2	2	2	80	125
		59	ტექსტზე მუშაობის საკითხები V-VI კლასებში	არჩ	EDS2PLT IWTG	EDS2PLTIHGL; EDS2PLTNL; EDS2PLTLM	5					5		13			26		2	2	2	91	125
		60	ქართული ლიტერატურის სწავლების დიდაქტიკა დაწყებით კლასებში(V-VI)	არჩ	EDS2PLT DTGLEG	EDS2PLTWR SEG	5						5	13	10		8	8	2	2	2	80	125
		61	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების სწავლების საფუძვლები	სავ	EDS2PLT GITECM	არ აქვს	5				5			19	15		3	12	2	2	3	69	125
მათემატიკის სწავლების მეთოდები	62	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდები 1 (I-IV კლ)	სავ	EDS2PLT PMTECM 1	EDS2PLTGIT ECM	5				5		20	13		6		2	2	3	79	125		
	63	მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები დაწყებით საფეხურზე	სავ	EDS2PLT IMTMEL	EDS2PLTPM TECM1	5					5	23	16		6		2	2	2	74	125		
	64	მათემატიკის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდები 2 (V- VI კლ)	არჩ	EDS2PLT PMTECM 2	EDS2PLTIMT MEL	5					5	13	20		6		2	2	3	79	125		
	65	სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები, აქტივობები და რესურსები მათემატიკის სწავლებაში დაწყებით საფეხურზე	არჩ		EDS2PLTPM TECM2	5					5	13	20		6		2	2	3	79	125		
ბუნებისმეტყველების მეთოდები	66	ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდები დაწყებით კლასებში 1 (I-IV კლ)	სავ	EDS2PLT MTNSEG	EDS2PLTNS1	5				5		13	4		22		2	2	2	80	125		

